№ 74 აპრილი 6, ხუთშაბათი | 1889 | აპრილი 6, ხუთშაბათი № 74

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, პასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 9 აპრილს.

---

ნ. პ. ლორთქიფანიძეს „ტრამვაის როტონდაში“

აღდგომის მეორე დღიდგან დაიწყება საერო სეირნობა კონცერტითურთ. სეირნობაში მონაწილეობას მიიღებენ ახლად დაქირავებული არტისტები.

როტონდაში შემსვლელთ არა ერთმევათ-რა.

---

ტფილისი, 5 აპრილი

გუშინდელს წერილში ორიოდე სიტყვით მოვიხსენიეთ ანდრაშის სიტყვა, რომელშიაც გამოჩენილმა პოლიტიკოსმა სთქვა, რომ სადაც არის მშვიდობიანობას ბოლო უნდა მოეღოსო და ხმლით უნდა გაუსწორონ სახელმწიფოებმა ერთმანეთს ანგარიშიო. ეხლა მეტი არ იქნება მკითხველებს ვაცნობოთ, თუ რომელს სახელმწიფოს რამდენი ჯარი და ფლოტი ჰყავს და რამდენი ზარბაზანი აქვს. ამ ცნობებიდგან აშკარად დავინახავთ, თუ რა დრტვინვასა და გაჭირებაში არიან ევროპის ერნი. მშვიდობიანობის დროს ევროპის სახელმწიფოთა ჰყავთ სამი მილიონი და სამას ათასამდე ჯარის-კაცი. ამათ შორის რვა ათას კაცზე მეტი რუსეთსა ჰყავს, საფრანგეთს—ნახევარ მილიონზე მეტი, გერმანიას—ნახევარ მილიონამდე, ავსტრი-ვენგრიას—სამას ათასამდე, ინგლისსა და იტალიას—ორას-ორას ათასზე მეტი, ოსმალეთს—ორას ათასამდე, ისპანიას—ას ოც-და-ათს ათასზე მეტი, ჰოლანდიას—სამოცდა-ხუთი ათასი, ბელგიას—ორმოცდა-ოთხ ათასამდე, დანიას—ორმოც-და-სამი ათასი, რუმინიას—ოც-და-თხუთმეტი ათასი კაცი, შვეციასა და ნორვეგიას—ოც-და-ცამეტი ათასი, ბოლგარიას—ოც-და-თორმეტი ათასი, საბერძნეთს—ოც-და-ოთხი ათასი, პორტუგალიას—ოც-და-ოთხი ათასი და სერბიას—ცამეტი ათასი კაცი. ამ ჯარს გარდა ფლოტიცა ჰყავთ. ევროპის ფლოტში ამ ჟამად ითვლება 191,000 კაცი. ამდენი ჯარი ჰყავთ მშვიდობიანობის დროს. ეხლა ვნახოთ, რამდენის კაცის გამოყვანა შეუძლიანთ ბრძოლის ველზე დიდს სახელმწიფოებს... ხუთს მეთაურს სახელმწიფოს საომრად შეუძლიან ფეხზე დააყენოს ოც-და-ერთი მილიონი კაცი: გერმანიას—7.200,000 კაცი, საფრანგეთს—4.108,655, იტალიას—2,626 000, რუსეთს—2.600,000 და ავსტრი-ვენგრიას—1.181,600 კაცი. პირველ გზობით ყველაზე მეტის ჯარის ამხედრება შეუძლიან რუსეთს, რომელსაც შეძლება აქვს ომის დასაწყისშივე გამოიყვანოს 1.639,000 კაცი, გერმანიას—1.000,000, სასაფრანგეთს 960,000, ავსტრი-ვენგრიას—940,000 და იტალიის—610,000 კაცი.

არტილერიაში პირველი ადგილი უჭირავს რუსეთს, რომელსაც 3,624 ზარბაზანი აქვს; გერმანიას აქვს 2,694, ავსტრი ვენგრიას—1,664 და იტალიას—1,632. ამ რიგად ყველას ერთად 12,446 ზარბაზანი აქვს.

ზღვაზე-კი პირველობა ინგლისს ეკუთვნის. ამ სახელმწიფოს ჰყავს 421 სხვა-და-სხვა საომარი გემი, რუსეთს—386, იტალიას—175, ავსტრი-ვენგრიას—175 და გერმანიას—79 გემი.

მთელს ამ ჯარსა და ფლოტს ხარჯი უნდება წელიწადში 4.055.440,616 ფრანკი. ამას უნდა დავუმატოთ შემდეგი: ინგლისის მართებლობამ მოსთხოვა პარლამენტს 545 მილიონი ფლოტის გასაძლიერებლად, საფრანგეთის პარლამენტმა, ამ სამის თთვის წინად, სამხედრო უწყებას მისცა 770 მილიონი და იტალიის მართებლობამ იმავე უწყებას დაუნიშნა 213 მილიონი.

ა. ს—ი

---

## ახალი ამბავი

*** ხუთს ამ თთვისას, დილით, პეტერბურგიდგან ტფილისს ჩამოვიდა მთავარ-მართებელი კავკასიისა, თავ. ა. მ. დონდუკოვ-კარსაკოვი.

*** ვაუწყებთ მკითხველებს, სად და როდის სწირავს მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, ეგზარხოსი საქართველოსი პალადი. დღეს, დიდს ხუთშაბათს, ეგზარხოსი ვიკარიების თანამწირველობით დიდის ვასილის წირვას გადიხდის სიონში, შემდეგ ფეხის ბანა იქნება. წირვა დაიწყება დილის რვა საათსა და ნახევარზე. იმავე დღეს ეგზარხოსი, ვიკარიები და სხვანი წაიკითხავენ თორმეტს სახარებას სიონში, საღამოს ხუთს საათსა და ნახევარზე. პარასკევს ეგზარხოსის კარია ეკკლესიაში გამოასვენებენ გარდამოხსნას და ლიტონიით წაასვენებენ სიონში. შაბათს ეგზარხოსი ცისკარს გადიხდის თავისს ეკკლესიაში დილის სამს საათსა და ნახევარზე. წირვა და საღამოს ლოცვა იქნება იმავ ეკკლესიაში დილის თერთმეტს საათზე. სააღდგომო ცისკარი ლიტონიით და წირვა გადახდილ იქმნება სიონში შუაღამისას. სახარებას წაიკითხვენ სლავიანურს, რუსულს, ქართულს, ბერძნულს და ლათინურს ენაზე.

*** როგორც უწინ ვაუწყეთ მკითხველებს, ზიჩის თავის ხელით ნახატი სურათები „ვეფხის-ტყაოსნისა“, რომელთა რიცხვში ურევია იმისთანანიც, რაც არ დაბეჭდილა, შეუწირავს „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის“ ნიშნად თავისის თანაგრძნობისა საქართველოს ერის მიმართ.

*** როგორც შევიტყვეთ, ოდესის სასულიერო სემინარიის მეხუთე კლასის მოწაფეს, კ. მ—ძეს, შეუდგენია სახელმძღვანელო წიგნი ნოტების შესასწავლად და მომავალს წელს აპირობს, თუ მოახერხა, დააბეჭდვინოს ჩვენს ქალაქში.

*** ტფილისში ცუდა, უსაქმური, კუჭ-ცარიელი ხალხი ბევრია და არც საკვირველია, რომ ეს ღარიბნი წევრნი „ბულვრის მტკეპნავ კომიტეტისანი“ ათასს ლობე-ყურეს ედებიან და სხვა-და-სხვა გვარს ხრიკს იგონებენ ფულის საშოვნელად. აი ეხლაც, მაგალითებრ, ჩვენს ტფილისში შემდგარა მთელი დასი მატყუარათა, რომელნიც ყალბს წერილებსა სწერენ უცხოთ ნათესავებისა და ნაცნობების სახელით. მაგალითებრ, სიძის სახელით სწერენ სიმამრს, პატარა ბიჭის ხელით უგზავნიან ბარათს და სთხოვენ: „ხუთი თუმანი დამჭირდა ხელათ, გამომიგზავნე და ორ-სამს საათს შემდეგ უკანვე დაგიბრუნებო“. ისიც უგზავნის და ბოლოს აღმოჩნდება ხოლმე, რომ სიძეს ფიქრადაც არა ჰქონია სიმამრისაგან ფულის თხოვნა. ამ დასის ერთი წევრი, სახელდობრ ტფილისის მოქალაქე ყორღანოვი, რომელიც წინად მომრიგებელ-სასამართლოს მეორე განყოფილების მდივნის თანაშემწე იყო, უკვე შეიპყრო პოლიციამ და გამომძიებელს გადასცა.

*** ამას წინად ტფილისის საგუბერნიო საპატიმროს ტუსაღებს განუზრახავსთ გაქცევა, პირობა შეუკრავსთ და საპატიმროს ოთახის კედლის თხრა დაუწყიათ. ზედამხედველს საპატიმროსას დროზედ შეუსწრია თვალი და ხელი შეუშლია. ამ დამნაშავე ტუსაღთა შორის, როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, რეულა განთქმული ავაზაკი ვარდან ხეთაგურიც, რომელიც ამ ორის წლის წინად შიშის ზარსა სცემდა მთელს ცხინვალის მაზრას. ამ საქმის შესახებ გამოძიება უკვე სწარმოებს.

*** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი შენიშვნა: მატყუარა დალაქ-ექიმები წინანდებურად ატყუებენ და სძარცვავენ ხალხს. ჩვენს დედა-ქალაქშიაც-

---

## ფელეტონი

### გმირის იდეალი

ფშაურ პოეზიის გამოსატულობით.

მდაბიო ხალხი თუმცა მდაბიოა, მაგრამ იმასაც თავისი საკუთარი აზრი, თავისი საკუთარი შეხედულობა აქვს მსოფლიოზე. ხალხი, როგორც კრებული გონიერ არსებათა, ეძებს მიზეზს ყოველ გვარ ამბისას, რასაც-კი იმისი თვალი და ყური სწვდება. ყოველ ამ გვარს ამბავს თავისებურად გაიგებს, თავისებურს მიზეზს უპოვნის. მდაბიო ხალხის აზრი ზოგჯერ შემცდარი გამოდგება ხოლმე, მაგრამ ხშირად-კი მართალი და უტყუარია. ტყუილად არ არის ნათქვამი: „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“. იმისი შეხედულობა უფრო იქ არის უტყუარი, სადაც ხალხის გონებას არა აძალადებს-რა, არა აჩრდილებს-რა. მაინც ყოველს შემთხვევაში ღირს-საცოდნელია მდაბიო ხალხის აზროვნობა, იმისი იდეალები და თვით იმისი არსება. ხალხის აზრი, ცხოვრება, იმისი წადილი და იდეალი გამოიხატება იმისს პოეზიაში, ზღაპრებში და სხვ.

ძველის-ძველი ცხოვრება, როგორც ვიცით, მუშტზე, ძალაზე იყო დაფუძნებული. ერთი თემი მეორეს არბევდა, სტყვევნიდა, იმონებდა, მხოლოდ იმიტომ-რომ ერეოდა. ვაჟკაცობას, გულადობასა და მკლავს დიდი სახელი, აბრუ და პატივისცემა ჰქონდა მაშინ. თემსაც ძვირად უღირდა ვაჟკაცი, გმირი ხდებოდა საგნად ლექსისა, ზეპირ-გარდმოცემისა. გმირის ამბით სულდგმულობდა ხალხი, იგი იყო იმისი ნუგეში. ხალხი მუდამ თვალ-ყურს ადევნებდა გმირს, აკვირდებოდა, სწავლობდა იმის განსხვავებულს ზნე-ხასიათს, ფანტაზიითაც უმატებდა გმირს თავის გემოვნებისამებრ ზნეობრივსა და ფიზიკურს თვისებას, რათა უფრო მოსაწონი გაეხადა იგი ყოველ-მხრივ.

ფშაველების პოეზია უფრო გმირულის ხასიათისაა, განსაკუთრებით ძველის დროის ლექსები. ეს ადვილად გასაგებია იმისთვის, ვისაც-კი უსწავლია ძველი, წარსული დრო საქართველოსი საზოგადოდ და მთიელის ქართველებისა კერძოდ. ძველი დრო, როგორც ზევითაცა ვსთქვით, იყო დრო გმირობისა და ვაჟკაცობისა, საგმირო საქმეებით სავსე იყო ძველი ცხოვრება. მაშ რაზე ემღერა ხალხს, თუ არ გმირობაზე? ვაჟკაცობა იყო მაშინ პირველი, თავი და თავი ღირსება კაცისა. სხვა გზით, თუ არ ვაჟკაცობითა და ვაჟკაცის გმირების წყალობით, თემს ერთი დღე სიცოცხლეც არ შეეძლო. იგი უნდა შემუსრვილიყო და გაწყალებულიყო, ფშავლის საიდეალო გმირი განსაკუთრებული ფშაური გმირია.

ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარნი უნდან ხისანი;
თვალნი ქორებულ მხედავნი,
ზედ მუხნი შავარდნისანი.

გმირი ფშაურს ლექსებში „ვაჟკაცად“, „კაი ყმად“ იხსენიება; იგი თემიდამ გამოდის, თემს ემსახურება, იმის გულისათვის იბრძვის. გმირის მაღალი ზნეობა და საგმირო საქმენი თემს დასტრიალებს თავზედ. გმირი გარეგნობით არა ჰგავს მზესა და მთვარეს. იგი თავისებურად არის ლამაზი, „სვილის ფერა“, „შავ-გვრემანი“. „ქალის-პირა“ ვაჟკაცი გმირად არ გამოდგება, ფშავლის აზრით, იგი მხდალია.

— დათვო, სთქვი შენსა რჯულზედა,
ვინ უფრო გეომებოდა?
— ვაჟაი სვილის ფერაი
ტოტ და ტოტ მეომებოდა;
ვაჟაი ქალის-პირაი
გორის-პირთ ეფარებოდა.

ღიალ, ქალის-პირა, ქალივით თეთრი და ლამაზი, კოხტა-პრანჭია ვაჟკაცი გმირად არ ვარგა, ვაჟკაცობას ვერ გასწევს. გმირისთვის გარეგანი სამკაული, ფშავლის აზრით, ფუჭია, საქმე შინაგანი ღირსებაა. გმირი ამიტომ იარაღის საზიკებს — ოქრო-ვერცხლს არ მიჰხედავს ტანზე სატარებლად. ხშირად გმირს ლექსში ვხედავთ, რომ თხის ტყავი აცვია. „თხის-ტყაიანი“ გმირის ეპიტეტია, როგორც „ლურჯა“ იმის ცხენისა. გმირი ცბიერობას არ მისდევს, აუჩქარებელია, პირდაპირი, ნამუსიანი. გმირი, ფშავლის აზრით, ქალის სიყვარულს არ უნდა გაეტაცებინოს; მექალთანეობა დამამცირებელია ვაჟკაცისა. იგი მდედრს პლატონის თვალით უცქერის, ყველასი ძმაა და ყველანი იმის დები არიან, ვინც-კი გმირის თემისაა და ვისაც-კი ფშავლობა ეთქმის. სოფ. აზადს ესხმიან თავს ქისტები. ციხე აიღეს და წაიყვანეს ტყვედ მშვენიერი ქალი, რომელსაც იმდენი სამკაული აქვს ყელსა და გულ-მკერდზედ, რომ ქალს უძნელდება მისი ტარება: „ყელი ჩამაქვს მძივსაო“, შეჰხვდებით ლექსში. ეს ამბავი გმირმა გიგლიამ შეიტყო და გამოუდგა მეკობრეთ. თუმცა ქალის მამასთან მტრობა აქვს, მაგრამ ვაჟკაცური გული გიგლიასი, დამყარებული საზოგადოდ თემის სიყვარულზედ, აენთო. გიგლია გზაში მეკობრებს წინ უხდება.

შამაჰხვდა თხის-ტყაიანი (გიგლია)
ამბავი ჰკითხა წარზედა (დინჯად):
— ე ქალ საით-და მოგყავისთ,
ცრემლ რო ჩამასდის თვალზედა?
— ეს ქალ ახადით მოგყავის,
შატილს ჩამოვსხამთ ჯარზედა.
შვიდმ ქისტმა ერთმა ფშაველმა
ხელი გაიკრეს ხმალზედა.

გმირი შვიდსავე ჰკლავს, მოსჭრის მარჯვენეებს, იარაღებს აჰყრის და ქალს აძლევს შინ წასაღებლად, საჩუქრად.

შამაურბინა ფშაველმა,
შვიდსავ თავ მასჭრა წამზედა,
შვიდსავ მარჯვენა ააჭრა
ერთის ამღათის (წუთი) ხანზედა,
შვიდსავ ფრანგულებ შამაჰხსნა,
სრულ ქალს დაჰკიდა ტანზედა.
ქალ უკვენ გამააბრუნა:
— მშვიდობით, დაო, გზაზედა,
ჩემს ნაქნარს სახელს ნუ იტყვი,
ვიყვნოდეთ და-ძმობაზედა.

გიგლია როდი სარგებლობს შემთხვევით, ქალს დობას ეუბნება და იქამდე დიდ-სულოვანია, რომ არც-კი უნდა გააგებინოს ვისმე, თუ იმან სასახელო საქმე ჰქნა და ვაჟკაცობა გამოიჩინა. გიგლიას შვიდის ქისტის მოკვლა არ უკვირს და არც სხვა უნდა გააკვირვოს ამით. კიდეც რომ დაიწყოს კვეხნა, ამითი უფრო დაამცირებს თავისს თავს, აბრუს გაიტეხს, რადგან გმირს არ შეჰშვენის კვეხნა და ტრაბახი.

ღვინო-კი მათრობელი სჯობს,
ძაღლი თეოზე მყეფარი;
ვაჟკაცი დინჯი სჯობია,
რო გაჭირდება—მეხარი;
ჩალად არა ღირს ვაჟკაცი
დიაცთ მიმყოლი, მკვეხარი.

კი თამამად დანავარდობენ და მოქმედობენ. ამ დღეებში ჩვენ შევხვდა ერთი წინანდალელი გლეხი, მაღალი მატუევი, რომელიც ბუასილისაგან იყო გალეული და მიღნავებული. საბრალო მაღალი ათის დღის განმავლობაში მიხეილის საავადმყოფოში წოლილა. ამ დროს საიდამაც ყოფილა იმასთან გაჩენილა ერთი ქლესა, მატყუარა დალაქი, რომელსაც სადალაქო მიხეილის ქუჩაზედა აქვს გამართული. ხსენებული დალაქი გადაჰკიდებია გლეხს: გინდა თუ არა გამოდი საავადმყოფოდამ, იმიტომ-რომ ექიმები ვერ მოგარჩენენ და უბრალოდ გატყუებენო; მე კი, როგორც გამოცდილი ექიმ-დალაქი, სულ მოკლე ხანში განგათავისუფლებ ავადმყოფობისაგანაო. ამ სიტყვებით თავს ბრუ-დასხმული გლეხი მოტყუებულა და გამოსულა სამკურნალოდგან. დალაქი გარიგებია იმ გლეხს ხუთ თუმნად და წინდაწინ-კი წამლის საფასედ ოცი მანეთი გამოურთმევია. ამ ნაირად დაუწყია დალაქს ექიმობა, მაგრამ მორჩენის მაგიერ უფრო ავად გაუხდია ის გლეხი. ამ ჟამად ეს საწყალი გლეხი მშიერ-მწყურვალი დაიარება და სამადლოდ მათხოვრობს დღიურს საზრდოს. ურიგო არ იქნება, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციონ ამ დალაქის ბოროტ-მოქმედებას, რადგანაც, როგორც ნამდვილად ვიცით, არა ერთი და ორი კაცი მოუტყუებია.

*** ამ თთვის სამს, მიხეილის ქუჩაზედ, ფრიდრიხ ზეტცერის სახლში, საღამოს ათს საათზე, ცეცხლი გაჩნდა ბუხრებში. ცეცხლი შინაურის საშუალებით გააქრეს.

*** მოსკოვის საიმპერატორო არხეოლოგიური საზოგადოება მიჰმართავს ყველას, ვისაც-კი რამ ძველი საისტორიო ნივთი აქვს, მიიღოს მონაწილეობა მერვე ხაარხეოლოგიო კრებაში და გაუგზავნოს თავისი კოლექცია გამოსაფენად. აი თვით წერილი მიმართვისა: „იანვარში 1890 წ. საიმპერატორო მოსკოვის არხეოლოგიური საზოგადოება დღესასწაულობს 25 წ. იუბილეს თავის არსებობისას. ამ დღესასწაულისთვის საზოგადოებას მიეცა ნება მოიწვიოს მე-VIII არხეოლოგიური კრება მოსკოვში და გამოჰფინოს კერძო კოლლექციები საისტორიო მუზეუმში, რომელიც იმყოფება მის იმპერატორებით უმაღლესობის დ. მ. სერგეი ალექსანდრეს ძის მფარველობის ქვეშ. მოსკოვის არხეოლოგიურს საზოგადოებას იმედი აქვს, რომ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, მიიღებთ მონაწილეობას ამ გამოფენაში და ინებებთ ამის შესახებ ახლავე პასუხის მიცემას და თანაც აცნობებთ საზოგადოებას, რა ნივთებისაგან შესდგება თქვენი სიძველეთა კოლლექცია.

ამასთანავე საზოგადოება ჰრაცხს თავის ვალად გაცნობოთ პირობანი გამოფენათა შესახებ, რომელნიც წარსულს კრებაზედ შემუშავებულ იქმნენ:

1) ნივთები, გამოფენისთვის დანიშნულნი, უნდა გამოგზავნილ იქმნას მოსკოვის ისტორიულს მუზეუმში ივნისს 1889 წ., რათა გამოფენის გამგებელ კომიტეტს შეძლება მიეცეს მოასწროს მიღებულ ნივთების რიგზედ მოყვანა და მათის კატალოგის შედგენა.

2) სკივრებზედ, რომელშიაც ჩაწყობილი იქნები ნივთები, უნდა დაკრული იყოს სახელი პატრონთა და შიგ სკივრში ჩადებული იყოს სია გამოგზავნილ ნივთთა.

3) გამოგზავნა მოსკოვში და უკანვე დაბრუნება ნივთთა შეიძლება წარმოებულ იქმნას საზოგადოების ხარჯზედ.

4) გამოფენა დანიშნულია ოქტომბერში 1889 წ. და გაგრძელდება იანვრამდე 1890 წ., რის შემდეგ ნივთები სუფთად ჩალაგებულნი უკან გამოგზავნილ იქმნებიან.

5) იმ პატრონთა, რომელთაც ჰსურთ გაჰყიდონ თავიანთი კოლლექციები, საზოგადოება უმორჩილესად სთხოვს აცნობონ, ნივთების გამოგზავნისათანავე, ამის შესახებ და ფასიც შეატყობინონ.

6) კომიტეტი მიიღებს ყოველს მისგან დამოკიდებულს ღონისძიებას, რათა დაიცვან გამოგზავნილი ნივთები.

თავმჯდომარე გრაფინია უვაროვისა
მდივანი ვ. ტრუტოვსკი

*** **სოხუმი:** განსვენებული ეპისკოპოსი სოხუმისა გენადი ამ თთვის ოთხს დაასაფლავეს ახალ-ათონის მონასტერში. დასაფლავებაზე ბრძანდებოდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ.

*** **ყვარელი:** ჩვენს ყვარელში ერთი ვაი-უშველებელი ტრიალებს: თურუჯის წყალი მოვარდა, მამული მოანგრია და ოც დღიურამდე ვენახი გააფუჭა. მართებლობამ 800 საჟენი წნელი და ფიჩხი აჩუქა სოფელს წყლის გასამაგრებლად და განკარგულებაც არის მომხდარი, რომ ყვარელის საზოგადოებო გავიდეს და გაამაგროს თურუჯის ნაპირები. ეს ფიჩხი არა გვყოფნის და ამიტომ მაზრის უფროსს განზრახვა აქვს სთხოვოს თავად-აზნაურთაც, რომ თავიანთის მამულებიდამ გაიმეტონ ამ საერთო საჭიროებისათვის ფიჩხი და შემწეობა აღმოუჩინონ თურუჯის გამაგრების საქმეს.

*** **სოფ. ხაგარეჯო:** საგარეჯოში სასოფლო კანცელარია იმავე შენობაშია მოთავსებული, სადაც დუქანი არის. ვერც ერთი გლეხი ვერ შევა და გამოვა დუქნიდგან, რომ უკანასკნელი ფული არ დაახარჯვინონ არაყში, რადგანაც უარაყოდ არც ერთი საქმე არა თავდება. მოხელეების საქციელს მედუქნეების უნამუსობა დაუმატეთ და ადვილად წარმოიდგენთ საბრალო გლეხის მდგომარეობას. სასოფლო ფულის ჭამასა და კენეტას ხომ საზღვარი არა აქვს. სხვა-და-სხვა შემოსავალი სოფელს ას თუმნამდე აქვს წელიწადში, მაგრამ სოფელს ერთი გროშიც არა ჰხმარდება.

*** **იგრის-ხევაზა:** დაინიშნა თუ არა ახალი მაზრის უფროსი, ყაჩაღობა და ქურდობა ერთბაშად მიყუჩდა. ბევრი ხანი აწუხებდა ჩვენს ხეობას და ამ ორმა ხომ სულ ერთიანად ამოგვართვა სული. ჩვენი მხარე განთქმულია საქონლით და ქურდებმა და ყაჩაღებმა კინაღამ ხელი აგვაღებინეს საქონელზე, მაგრამ დაინიშნა თუ არა ახალი უფროსი, ჩვენმა მდგომარეობამ ფერი იცვალა. ჩვენს სოფელში ყეინის მობრძანებას უფრო ადვილად წარმოვიდგენდით, ვიდრე მაზრის უფროსისას. განთქმული ყასუმა, რომელსაც ყველა კახელი მეურმე და გომბორის გზაზე მოსიარულე იცნობდა, შეიპყრეს და სოფლის განაჩენის ძალით ციმბირს მიემგზავრება ცოდვების მოსანანიებლად. თაქლასა და მულანლოს მცხოვრებთ პირობა ჩამოერთვათ, რომ იმათ მახლობლად დაკარგული სოფელმა უნდა იხადოს და სხვანი. ყაჩაღების გარდა სოფლის მოხელეებსაც აუტოკდათ გული: ორი მამასახლისი, რომლებსაც ბევრი რამ ცოდვა მიუძღოდათ, მოხელეობიდგან გადაყენებულ იქმნენ.

## პასუხი ბ-ნს ვასილ აკოფაშვილს

Timeo danaos
Et dona ferentes.

„ივერიის“ მე-54 №-ში ბ ნ ვ. აკოფაშვილმა ინება ჩემ კორრესპონდენციის წინააღმდეგ გამოლაშქრება. მე მქონდა აწერილი ქალაქის ბჭობა, საცა ქალაქის გამგეობის ერთის წევრის გამო ასტყდა დიდი ბაასი. ბ-ნმა ვ. აკოფაშვილმა განაცხადა, რომ ეს ბაასი ჩემ შესახებ იყოო და მით ერთხელ კიდევ განამართლა სახალხო ანდაზა: „ქურდი მთხრობელს მიხვდებაო“. უწყალო ავადმყოფობამ ეს მეორე თთვეა ლოგინს დამაკრა ისე, რომ არამც თუ კალმის მოსმა საპასუხოდ, სულის მობრუნებაც-კი მიჭირდა. ამიტომ ვსწუხვარ, რომ დღემდის ვერ შევიძელი გამოაშკარავება იმ პასუხისა, რომლითაც ბ-ნი ვ. აკოფოვი სცდილობს გააქარწყლოს ჩემი ნამდვილს საბუთებზე დაფუძნებული კორრესპონდენცია...

კარგია თქვენმა მზემ! მაგაზე ადვილი რაღა არის? საზოგადო ასპარეზზე გამოგიწვევენ საშრომად, ნურ ფერს გააკეთებ და, როცა გამხილ... ბენ შენს უმაქნისობას, პირდაპირ გამოაცხადე გაზეთში, რომ ეგ ტყუილია, ვინც ჩემზე მაგას ამბობს, ცრუ არის-თქო. ასე ადვილად რომ შეიძლებოდეს საზოგადოების წინაშე თავის გამართლება უსაბუთოდ, მარტო ლიტონის უარ-ყოფით, არც ერთი კაცის-მკვლელი, არც ერთი მექრთამე, არც ერთი უმაქნისი და საზოგადოების მავნე კაცი აღარ გამტყუნდებოდა. თქვენს მტერს, მაშინ საზოგადოებას საქმე დაემართებოდა!.. იქ არც სამართალს, არც მართალს კაცს აღარ ედგომებოდა. მაგრამ მადლობა ღმერთს! მართლიერობის გრძნობა ჩვენს საზოგადოებაში და ლიტერატურაში იმდენად მომძლავრებულია, რომ მარტო გადაჩეცვა იმ ბოროტ-მოქმედებისა, რომელიც ჩაუდენია კაცს, ან მოჭორებულის და მოგონებულის საბუთებით თავის გამართლება ვერ გამოიყვანს პირ-ნათლად საზოგადოების წინაშე.

მე მსურს ბ-ნ ვ. აკოფაშვილის პასუხს ჩავუდგე კვალში და ყოველს მუხლზე თავისი შესაფერი პასუხი ვაგოენახოთ, რამდენად სამართლიანი იქნება მისი ცილის-წამება ჩემ კორრესპონდენციის შესახებ.

„ბ-ნი გ. წ—ი კუთხისიდამ მოწერილს დაბა-და-სოფელში, რომელიც დაბეჭდილია „ივერიის“ მე-47 №-ში, ჰბძანებს, რომ ქალაქის თავმა შეიტანა ქუთაისის ქალაქის საბჭოში სარჩიელი მესამე გამგეობის წევრის დანიშვნის გამო იმ აზრით, რომ ვითომ მე ვუნდები ჩემ დიდ-შემოსავლიან სახლებისა და დუქნების მზრუნველობას და ვითომ გამგეობაში არა საქმეს არ ვასრულებ.

ამაში შემცდარი ბძანდება ბ-ნი გ. წ—ი. მობძანდეს გამგეობაში და იქ დავუმტკიცებ საბუთებით, რომ შემცდარი ბძანდება“.

---

ვაჟკაცს, ფშაველის წარმოდგენით, სიდარბაისლე უხდება. გმირი თავს არ უნდა იმსუბუქებდეს და თავისს ვაჟკაცობას ჭკვიანურად უნდა ხმარობდეს. გმირმა თავისი ძალ-ღონე წვრამარა საქმეს არ უნდა შეალიოს, უბრალოდ არ დახარჯოს, არ დაახურდაოს. დიდი, საგმირო საქმე როდესაც გაჩნდება, მაშინ უნდა იკრას ხმალზედ ხელი.

მთას ვიყავ, ცვრი წყარო გსვი,
ბარად ჩამოვედ—მაშხარი...
ძვირად გაგყიდი, სიყმეო,
თუ ამიჩნდება ვაშხარი!

გმირმა ისეთის საქმისათვის უნდა მოიკლას თავი, რომ ჰქონდეს სიკედილად და სახელად. ეს საგმირო, ღირსი თავის განწირვისა რაღაა, რა საგანია?

კაი ყმა ცოლზედ მოკვდება,
მამულსა საკუთარზედა.

—

კაი ყმა ლაშქარ მოკვდება
სწორების მჯობინობასა,
ცუდაი—ბოსლის ყურესა
ქალებთან ლოგინობასა.

დიაღ, გმირი, ფშაველის აზრით, თავის საკუთარს ნამუსსაც უფრთხილდება, თავისის თემისა და მამულისასაც. თემის, მამულის გულისთვის იმას სჭირდება ხშირად ლაშქარს ყოფნა, აქ მოელის იმას სახელოვანი სიკვდილი, „ცუდამ“, ლაჩარმა-კი ქალების ლოგინში უნდა დალიოს სული, იქ უნდა დაბერდეს და მოკვდეს.

კარგის ყმის ცოლი ტიროდა:
აღარ მამივა შინაო (ქმარი);
იცინის ცუდაის ცოლი:
გამაიქცევა წინაო.

გმირი ხშირად თემსაც აუხირდება. ეს მოხდება უფრო მაშინ, როდესაც შეიარაღებული თემი „დაჯარებული“, დამსხდარნი მწკრივად ბჭობენ გალაშქრებაზედ სმა-ჭამის, ქეიფის დროსაც თავ-მომაბეზრებელია გმირი, ვაჟკაცი, პირდაპირ ეუბნება ყველას, თუ რასმე ცუდს შენიშნავს, გაამწარებს ქეიფსა და დროს ტარებას, მაგრამ ეს ხასიათი გმირს უნდა მიუტევოს თემმა, რადგან გმირი ომში, ბრძოლაში გამოსადეგია, მისთვის პატივსაცემი და დასაზოგავი.

კარგს ყმას არ იპატიჟებენ,
ჯარს არ გვიყენებს ჯარზედა;
იმას-კი აღარ ჰფიქრობენ,
გაჭირდეს, გამოგვადგება.

გმირს, რამდენადაც ომში გულადობა, ამაყობა და სიმტკიცე მოეთხოვება, იმდენად თავის თემში თავმდაბლობა და მოთმინება უხდება. აი სახალხო გმირი როსტომი რას ამბობს თავის თავზე, როგორ ესმის გმირობა:

როსტომ სთქვა: „გმირი მეც ვიყავ,
ჯირითი შემოვისრიე;
სოფელში ამაყობასა
ისევ დათმობა ვირჩიე“.

თუმცა კარგად ვიცით, რომ ქალის სიყვარული გმირს გმირობას არ უშლის, არამედ უმატებს კიდეც მხნეობასა და სიმამაცეს, მაგრამ ხალხი დიაცის მიყოლას უშლის გმირს, როგორც მის ღირსების დამამცირებელს საქმეს. ამ გვარს შეხედულობას ხალხისას საკუთარი მიზეზი აქვს, რომელიც სულ სხვა სათავიდამ მომდინარეობს. ვგონებ რომ ფშაველის რომანტიული ბუნება ქრისტიანულს ელემენტს დაუძლევია. გმირი ერთსა და იმავე დროს მტრის სისხლის მქცეველიც არის და წმინდანიც, როგორც მფარველი თავის თემისა. რაკი იგი მადლის მომქმედია, ბევრს სიკეთესა და მადლსა სთესავს ქვეყანაზე; როგორც ვაჟკაცი, წმინდანი, თავის სიწმინდისა და ვაჟკაცობის დასაგვირგვინებლად ქალებსაც უნდა ერიდოს. ამ, ხალხისაგან მიღებულს, აზრის მიზეზად, რომ გმირი არ უნდა იყოს მექალთანეო, ჩასათვლელია მოსეს ღაღადება: „არა იმრუშო“ და შემდეგ შევსებული იესო ქრისტესაგან: მრუშის თვალითაც-კი არ უნდა შეჰხედოთ დედაკაცსაო. ამასთან ერთად არ შეიძლება არ ვიფიქროთ, რომ ამ ბერულს შეხედულებას სიყვარულზე სოციალური ფაქტი არ ედვას სარჩულად, დარღვეულის მრავალ-ცოლობის ნაშთებზე გამარჯვებულ ერთ-ცოლობის ბაირაღი არა ფრიალებდეს. ის სულ სხვაა, ქრისტიანობამ დასცა მრავალ-ცოლობა ფშავში, თუ ეს მოხდა სოციალურის გარემოებით, როგორც არის, მაგ., უცხო თემის დედაკაცების მოტაცება ტყვედ და დასაკუთრება. ვსთქვათ, სოციალურ გარემოებათა წყალობით მოხდა მრავალ-ცოლობის მოსპობა. ქრისტიანობაც, თავის მხრით, გაუმაგრებდა ფესვებს ამ ახალს ფორმას და უკიდურებამდინაც ადვილად მიიყვანდა. ერთი უკიდურობა — მრავალ-ცოლობა გამოიწვევდა მეორე უკიდურობას — უარ-ყოფას სიყვარულისას, ცოლ-შვილობისას, მით უმეტეს გმირის, ამ მაღალის არსების შესახებ... ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. დედაკაცის ჭკუას არ უნდა აჰყვეს გმირი, კეთილი არაფერი გამოვა დედაკაცის ჭკუიდამაო. ამ შეხედულობის მიზეზი დედაკაცზე მისი საზოგადოებრივი მდგომარეობაც-კია: დედაკაცი ფშავში დამონავებულია მამაკაცისაგან და წინად უფრო უარესს მდგომარეობაში იქნებოდა ჩავარდნილი. გმირს საკუთარი მსჯელობა უნდა ჰქონდეს და დედაკაცის ჭკუას არ აჰყვეს.

როსტომ სთქვა: „ჭკვა დიაცისა
არც მამწონ, არც მეკეთება;
გაუკაცს დიაცის მიმყოლსა
სამარეც დაეკვეთება“.

გმირი იმდენად თავის თავისთვის არა სცოცხლობს და იმდენს არ აკეთებს, რამდენსაც თემისათვის, მაგრამ ამ სამსახურისათვის სახელის მეტი არაფერი ჰრჩება. მხოლოდ ხატობის დროს ხევის ბერი განსაკუთრებულ, დიდის თასით გმირს საკარგყმოს (კაი ყმა) ასმევს. გმირი ხდება საგნად ქება-დიდებისა ლექსებში. სიკვდილს შემდეგ მთელი თემი ჰგლოვობს, ხატობის დროს ოფიციალურად ისმის გმირის შესანდობარი. ჯერ ხევის-ბერი იტყვის და მერე დიდი და პატარა მოაყოლებს შესანდობარს. დიაღ, გმირი მსხვერპლია სოფლისა... სხვას აძლობს, თითონ მშიერია, სხვის სიცოცხლისათვის მებრძოლი თითონ სიკვდილს ეძლევა პირში. აი ლექსი, რომელსაც საფუძვლად კერძო ამბავი აქვს, მაგრამ საზოგადო აზრი-კი ისაა, რომ გმირი თავისის თანამოძმისათვის მუდამ თავს დასდებს:

რაად კარგია კაი ყმა,
რაის კარგისა მქნელია?
წავალის მოჰკლავს ნადირსა,
ჭალაში მწვადის მწველია,
დააძღებს ამხანაგებსა,
თავად „მშიერა მგელია“.

დიაღ, გმირი სხვას აძლობს, სხვისთვის იბრძვის თავ-განწირული და თითონ-კი „მშიერა მგელია“.

ვაჟა-ფშაველა

რაში გახლავარ შემცდარი? იმაში, რომ ქალაქის თავმა სარჩიელი მისცა მესამე გამგეობის წევრის ამორჩევისა, თუ იმაში, რომ თქვენ თქვენს მოვალეობას, როგორც წევრი ქალაქის გამგეობისა, დანიშნულებისამებრ ვერ ასრულებთ? პირველს კითხვაში რომ არა ვსტყუი, ამას თითონ თქვენ ჰმოწმობთ, როგორც ქვემორე თქვენის სიტყვებიდამ სჩანს:

«ისურვეს დანიშვნა ზოგმა მესამე წევრისა, ზოგმა კასირისა და ზოგმა შემასრულებელ მოხელესი და ყოველივე ეს სარჩიელი იყო გამოწვეული იმ გარემოებით, რომ საქმე და ანგარიშები ჩემს ამორჩევამდინაც რიგზე და დროზე ვერ სრულდებოდა».

აქ ცხადად სჩანს, თქვენვე ალიარებთ, რომ თქვენს ხელშიაც ვერ სრულდება, ე. ი. არა კეთდება-რა. მეტი მეც არა მითქვამს-რა?..

რაიცა შეეხება ჩემს მიპატიჟებას გამგეობაში, ვითომ საბუთებით გნებავდეთ დამიმტკიცოთ თქვენი თავდაუზოგავი შრომა, სამწუხაროდ, მე ეს საკმაო საბუთებით შევიტყე და დავრწმუნდი კიდეც, რომ არამც თუ არას აკეთებთ, არამედ ძალიანაც რომ გსურდესთ, მაინც ვერას გააკეთებთ, რადგან მაგ თანამდებობისთვის თქვენ ისე არა ხართ მომზადებული, როგორც მე ჩინურის ენის პროფესორობისათვის. მთელი თებერვალი ისე გავიდა, რომ თითქმის ყოველ დღე ქალაქის გამგეობაში მიხდებოდა ყოფნა ზოგი იქაურის საქმეების გასაგებად და ზოგი ჩემ საკუთარ საქმეების გამო. ძალიან ხშირად მოხდებოდა, რომ მე თქვენ იქ კვირაში სამჯერ მეტად ვერ გნახავდით ხოლმე. როცა ღმერთი იპრიანებდა და მობრძანდებოდით ქალაქის გამგეობაში, მაშინაც დიდხანს არა რჩებოდით. მობრძანდებოდით ხოლმე თორმეტს საათზე და პირველს საათზე თქვენი კასსა უკვე დაკეტილი იყო და თქვენ შინისკენ მიისწრაფებოდით. შევნიშნე აგრეთვე ისიცა, რომ ბევრი მოქალაქეთაგანი მოსულა გამგეობაში ფულის შემოსატანად და კვიტანციების მისაღებად. ბევრნი მოვიდნენ, დიდი ხანი იცადეს გამგეობაში და, რომ ვერ გნახეს, უკანვე გაბრუნდნენ. იქნება ამის პასუხად თქვენ მიბრძანოთ, რომ სხვა რამ საქალაქო საქმეები გიკეთებიათ იმ დროს, მაგრამ ესეც მტკნარი ტყუილი იქნება. დასამტკიცებლად მოვიყვან მოწმედ თვით თქვენს თანამოსამსახურებს — ქალაქის თავიდამ დაწყებული ქალაქის გამგეობის უკანასკნელ მოხელემდე, — რომ თქვენ არამც თუ საქმის კეთება, უბრალო თხოვნების მიღებაც არ შეგძლებიათ და, როცა ამისთანა ჭაპან-წყვეტა თავს დაგდგომიათ, მაშინვე ქალაქის თავისთვის მიგიმართავთ და რჩევა გიკითხავთ: რა ვუყო ამ თხოვნებს, სად უნდა ჩაიწეროს და როგორაო?..

განა ეს არის თქვენი საქმიანობა?..

„შემდეგ ბ-ნი გ. წ—ი ბძანებს, რომ ხმოსანნი აილოშენ, ადგნენ ლალადით და დაამტკიცეს მრავალ ნაირ საბუთებით ჩემი უმაქნისობა და რომ მე არა ვარ ღირსი ჩემის თანამდებობისა. მართალს ბძანებს ბ-ნი გ. წ—ი, რომ ზოგიერთი ხმოსნები სწორედ „აილოშენ და ადგნენ ლაღადთ", მაგრამ მიკვირს, რომ ის-კი ვერ შეუტყვია, თუ რა ხლაღადებდა, ანუ ააყაყანებდა: გულდათუთქულობა, რომ მე ჯამაგირს ვიღებ და სხვებზე ნაკლებსა ვშრომობ, თუ პირადი მათი ანგარიშა და მათი კერძო საქმეები ჩემთან მამულების გამო.

„ეს იმათი კერძო ამბები რომ შეეტყო ბ-ნს გ. წ—ს, მაშინ იმასაც მიხვდებოდა, თუ რით ხელმძღვანელობენ ზოგიერთნი ჩვენი ხმოსნები საზოგადოების სამსახურში ჩამდგარ კაცის გასაკიცხავად, და მაშინ ასე უსაფუძვლოდ იმათ მიერ ჩემს გაკიცხვას არ უწოდებდა მრავალ ნაირ საბუთებით დამტკიცებად ჩემ უმაქნისობისა და სხვა".

თავგმა თხარა-თხარა, კატა გამოთხარაო. სწორედ ასე მოსდის ბ. ნ. ვ. აკოფაშვილს. ის ბრძანებს, რომ ჩემს უმაქნისობაზე-კი არ «აილოშენ» ქალაქის წევრებიო, არამედ იმათ საკუთარი ინტერესები აქვთ ჩემ წინააღმდეგაო, ე. ი. ეხარბებათ ჩემის მამულების წარმატებაო.

მე ამ თქვენის ინტერესების მეძიებლობის გამომჟღავნება არ მინდოდა, მაგრამ რაკი თქვენ თითონ შეეხეთ, მაშ ეხლა ნამდვილს, ჭეშმარიტს მე მოგახსენებთ. სწორედ, რომ ყოველი ნაბიჯი თქვენის მოქმედებისა ისეა წარმართული, რომ თქვენს თანამდებობასაც და „პარტიობის" ძალასაც მხოლოდ თქვენის მამულების აღორძინების გულისთვის ხმარობთ. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, დღეს თქვენს ქონებას არ შეემატებოდა წლიური შემოსავალი ცხრაასი მანეთი—თქვენი სახლის ქირა, რომელიც რამდენსამე წელიწადს იდგა ცარიელი. სანამდის მომრიგებელ-მოსამართლის სადგომში ხუთასი მანეთი იყო დანიშნული ხაზინიდამ ქირად, რატომ მაშინ არ უჩინეთ ბინა მომრიგებელ-მოსამართლეს თქვენს სახლებში? სანამდის ქალაქის საბჭოში თქვენისა და თქვენის პარტიის დახმარებით არა გადასწყდა სარჩიელი, რომ ქალაქის მომრიგებელ-მოსამართლის სადგომისთვის ქალაქს ყოველ წლიურად მიემატებინა ქირა კიდევ ოთხასი მანეთი, რატომ მანამდის არ შეუკარით „კონტრაქტი" მომრიგებელ-მოსამართლეს თქვენს სახლში გადმოსულიყო?

ეს ზემოხსენებული სარჩიელი წინადაც ბევრჯელ განხილულა, სანამ მომრიგებელ-მოსამართლის სადგომი სხვის სახლში იყო, მაგრამ ქალაქის ბჭობამ რამდენჯერმე უარი სთქვა დახმარებაზე. მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენ და თქვენმა პარტიამ იძალეთ და საბჭოში გადააწყვეტინეთ ოთხასის მანეთის დამატება, ნეტავ რად დაეშურეთ კონტრაქტის შეკვრასა და ცხრაას მანეთის ყოველ-წლიურად შეძენის გულისთვის რად გადმოაბრძანეთ საჩქაროდ მომრიგებელ-მოსამართლის მმართველობა თქვენს ცარიელს სადგომში?.. ალბად საზოგადოების სარგებლობისათვის, არა?.. აი, თუ გნებავთ, საკუთარის ინტერესის მეძიებლობა ეს გახლავთ და არა ის ცრუ დაწამება, რომლითაც მთელს ქალაქის საბჭოს თქვენ ჩირქსა სცხებთ. მაგრამ ბ-ნი ვ. აკოფაშვილი შემდეგ ამისა კიდევ უფრო კადნიერდება და განაგრძობს თავისს მოჭორებულ ამბავს ჩემის, ვითომც, სიცრუის დასამტკიცებლად. მოვუსმინოთ:

„ბ-ნი კორრესპონდენტი იხსენიებს გრაფის ლორის-მელიქოვის დასაფლავებაზე მოხდენილ გზის ხარჯზე ბაასსაცა. ყველა თავ-მოყვარე ხმოსნისთვის ის სამწუხარო ბაასი, რომელიც მოხდა ამ საქმეზე, ფრიად საყურადღებო საქმე იყო, მაგრამ ბ-ნმა კორრესპონდენტმა ეს საქმეც-კი მარტო იმით მოიხმარა, რომ ჩემთვის კიდევ ერთი ქვა ესროლა. აი საქმე როგორ იყო: ბ-ნმა ქალაქის თავმა დააპირა ქალაქს წასვლა; თან უნდა წაჰყოლოდა ორი ხმოსანი. ამ დეპუტაციის ტფილისში წასასვლელად, ჭამქრების გზის ხარჯად რიონის სადგურამდე და აგრეთვე გვირგვინის სასყიდლად ტფილისში შესდგა სულ 150 მანეთი. როცა დრო მოვიდა წასვლისა, ქალაქის თავთან ერთად ისურვა წასვლა ხმოსანმა ბ-ნმა გველესიანმა და მეორე მსურველი კი არავინ გამოჩნდა. ყველანი უარზე დადგნენ, უეჭველად იმიტომ რომ ყველას რაიმე საქმე ჰქონებოდა ამ დროს ქუთაისში. ბ-ნმა ქალაქის თავმა მემოძცა წინადადება, რომ გავყოლოდი და მეც დავთანხმდი და წავედი. ხმოსანს გველესიანს უარი ეთქვა გზის ფულის მიღებაზე. ბ-ნმა ქალაქის თავმა და მე უარი არ განვაცხადეთ. იმ ხანებში მე მქონდა გასაგზავნი ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში 2,000 მანეთი. ვისარგებლე ჩემის წასვლითა და თან წავიღე ეს ფული და შევიტანე ბანკში. ეს იყო ჩემი საკუთარი საქმე და ამის შესრულება ქუთაისიდგანვე შემეძლო ექვს მანეთად".

ერთი ბრძანეთ: აქ რა იყო სამარცხვინოო?—ამბობს ბ-ნი აკოფაშვილი:

თქვენი ეს მთელი სიცრუით გადაქმნილი ამბავი იყო და არის სამარცხვინო. საბჭომ ქალაქის წარმომადგენელათ აირჩია მხოლოდ ქალაქის თავი, რომ ლორის-მელიქოვის კუბოზე გვირგვინი დაედვა ქალაქ ქუთაისის მაგიერად. მასვე განუწესა გზის ხარჯი. სხვისთვის არავისთვის არ განუწესებია ამისთანა ხარჯი, როგორც არ ამოურჩევია არავინ გარეშე იმისა წარმომადგენლად. თუ ვინმე სხვა ხმოსანი წავიდოდა და მხარს დაუმშვენებდა ქალაქის თავს, ეს იმისი ნება იყო. რა უფლებით ითხოვდით თქვენ გზის ხარჯს, ბ-ნო აკოფაშვილო, როდესაც საბჭოს არც ამოურჩევიხართ წასასვლელად, არც ის ნდომებია, რომ თქვენ ქალაქის გამგეობას მოჰკლებოდით? თქვენ თითონ შეეხვეწეთ ქალაქის თავს—წამიყვანეო, და ჩემს პასუხში-კი ბრძანებთ, ვითომც ქალაქის თავს თქვენთვის ეთხოვნოს წაყოლა. როგორც მკვდარს ნეტავ შემატყობინა, ასე რამ გაგაკადნიერათ, რომ ბრძანებთ: «საზოგადოებას ვერ ეკადრე ჩუქება ჩემის გზის ხარჯისაო»? ან ვინა გთხოვათ, რომ გზის ხარჯი გაგეწიათ, ან ვინ მოგცათ ნება ორი კვირა ქალაქის გამგეობიდგან დაკარგულიყავით და ეს დრო ტფილის თქვენს ნათესავებსა და მეგობრებში გაგეტარებინათ?

იმის მაგიერად, რომ ავადმყოფობის მოწმობა მაინც გამოგეგზავნათ გამგეობაში, რადგან ორს კვირას საქმეს მოსცდით, თქვენ ქუთაისის საბჭოს თქვენი სიამოვნება ხარჯად გადუქციეთ და იჯარა მოსთხოვეთ. თქვენ ბრძანებთ, ვითომც ბ-ნი პ. თუმანიშვილი თქვენის ამორჩევის წინააღმდეგი იყო. მე ბ-ნ პ. თუმანიშვილს იმაში ვამტყუნებ, რომ ეს თავისი ნამდვილი აზრი ქვევით ვერ დაამტკიცა. მართალია, ის წინააღმდეგი იყო სიტყვით თქვენის ამორჩევისა, მაგრამ საქმით-კი იმანაც და იმისმა „პარტიამაც" თქვენ თეთრი კენჭი მოგცათ. ამით ვათავებ, ბ-ნო ვ. აკოფაშვილო, ჩემს პასუხს. უფრო ნამდვილ დასამტკიცებლად ჩემის სიმართლისა, მე მოგიწოდებთ სამედიატორო სამართალში. მედიატორებად ამოვარჩევთ თვით ქალაქის თავს, ქალაქის გამგეობის წევრს ბ-ნს გაბაშვილს და თქვენს მოკეთეს ბ-ნ პ. თუმანიშვილს. უკეთუ ისინი დაამტკიცებენ, რომ თქვენ ღირსი ხართ თქვენის თანამდებობისა, ანუ იმდენს აკეთებთ, რამდენიც ქალაქის გამგეობის წევრს მოეთხოვება, მაშინ ხელს ავიღებ გაზეთ „ივერიაში" წერაზე და, უკეთუ იმათ დაამტკიცეს, რომ თქვენ არა ხართ შესაფერი თქვენის თანამდებობისა, როგორც ქალაქის გამგეობის წევრისა, მაშინ თქვენ უნდა უარ-ჰყოთ თქვენი ეხლანდელი თანამდებობა. თუ მართლა ეს დამტკიცდა, ან-კი როგორღა ინებებთ მას შემდეგ კიდევ ქალაქის გამგეობის წევრობას!

გ. წერეთელი

---

# უცხოეთი

**იაპონია.** წელს 30 იანვარს გამოაქვეყნეს ტექსტი იაპონიის კონსტიტუციისა. კონსტიტუციას დაჰპირდა ერს იპონიის მეფე, ანუ, როგორც იქ ეძახიან, მიკადო 1881 წელს. იაპონიის ეხლანდელი მეფე, ავიდა თუ არა მამა-პაპათა ტახტზე, მაშინვე ის აზრი გაიხადა საგნად, რომ თავისუფლება მიეანიჭო ჩემს ერს და მიეაჩვიო თვით ჰმართოს თავისი სახელმწიფო საქმეებიო. 22 წლის განმავლობაში მიკადო დაუცხრომლად სცდილობდა თავისის ქვეყნის წარმატებისათვის და აი დღეს, აღარ გაივლის რამდენიმე თთვე, რომ შეკრბება პირველი პარლამენტი აზიაში. რას ჰფიქრობს შემდეგისათვის მიკადო, ეს სჩანს იმის მანიფესტიდამ, რომელიც გამოაცხადა კონსტიტუციის ტექსტთან ერთად. ამ მანიფესტში მიკადო ამბობს, რომ მე მინდა სიკეთე ჩემის ერისათვის, რომელიც მიყვარს და რომლის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვისაც ვზრუნავ. მინდა, რომ სათნოება და ნამუსი ჩემის ერისა განმტკიცდეს და გაძლიერდეს. მინდა აგრეთვე, რომ მასთან ერთად შევეწიო ქვეყნის წარმატებასა და განათლებას. ამიტომ ავწესებ, დაპირებისამებრ, უმთავრესს კანონდებულებას. ამასთანავე ვაცხადებ, რა კანონები და რა გზაა ის გზა, რომელსაც უნდა ადგნენ ჩემნი შემდეგნი, ჩემი ერი და მისი შთამომავლობა. უმაღლესი ხელმწიფობა ქვეყნის მართვა-გამგეობისა გადმომეცა ჩემთა წინაპართაგან და მერე მე ჩემს შემდეგს გარდავცემ. დღეიდამ მეცა და ჩემი მემკვიდრენიც მოვალენი ვართ შეურყევლად კონსტიტუციას ვემორჩილებოდეთ. მე პატივსა ვცემ უფლებას ჩემის ერისას, ქონებას თითოეულის მოქალაქისას და მზადა ვარ დავიცვა ერთიცა და მეორეც ყოველ გვარის თავ-დასხმისაგან. ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ გულ-მოდგინედ დავუწყებ სარჩლსა ქონებასაცა და უფლებასაც ჩემის ერისას, თანხმად კონსტიტუციისა და კანონებისა. პარლამენტი შედგება პირველად 1890 წელს და კონსტიტუცია მაშინ შევა ძალაში. თუ ოდესმე საჭირო იქნება შეცვლა რომლისამე მუხლისა, ჩვენ ან ჩვენი მემკვიდრენი ვურჩევთ პარლამენტს შეცვლასა და ისიც კონსტიტუციის თანხმად მოიქცევა, ხოლო ჩვენი მემკვიდრენი და ერი ჩვენი მოვალენი იქმნებიან დაემორჩილნენ შეცვლილს კონსტიტუციას. ჩვენმა მინისტრებმა უნდა შემოიღონ ეს კონსტიტუცია ჩემის სურვილისამებრ.

კონსტიტუციის ტექსტი შვიდ ნაწილად განიყოფება. პირველში მოხსენებულია მიკადოს უფლებანი და წესი ტახტის მემკვიდრეობისა. მეფე კონსტიტუციით წმინდა და ხელ-შეუხებელია და ის განაგებს ქვეყანას, როგორც ბატონი, თანხმად კონსტიტუციისა, და კანონმდებლობს პარლამენტის თანხმობით. კანონებს ამტკიცებს მიკადო, რომელსაცა აქვს უფლება შეკრიბოს პარლამენტი, გადასდოს მისი კრებანი, ან დაითხოვოს სრულიად ახალ არჩევნებამდე. როცა კრებული არ არის პარლამენტისა, შეიძლება გამოცხადდეს ბრძანება მეფისა. ამ ბრძანებას კანონის ძალა აქვს, თუ იმის გამოცხადებას საჭიროება მოითხოვს. შემდეგ ეს კანონი უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად, ხოლო თუ პარლამენტმა არ დაამტკიცა, მთავრობამ უნდა გააუქმოს იგი ბრძანება.

მიკადოს ნება აქვს ბრძანება გამოაცხადოს, მაგრამ ამ ბრძანებით არ უნდა ირღვეოდეს კანონები. მიკადო განაგებს მართვის საქმეს, აწესებს მოხელეებს სამხედრო და საერო სამსახურში და უნიშნავს ჯამაგირს. ჯარისა და ფლოტის საქმესაც ის განაგებს, ომის გამოცხადებაცა და ზავის დადებაც მისი საქმეა.

იმ უფლების საფუძვლად, რომელიც ერსა აქვს მინიჭებული, ის არის, რომ ერის გამგეობა კანონების თანხმად უნდა სწარმოებდეს. ყველა მოქალაქენი მოვალენი არიან სამხედრო ბეგარას ტვირთულობდნენ. ყველანი იხდიან ხარჯს და შეუძლიანთ იმსახურონ საეროსა და სამხედრო უწყებაში. კანონისამებრ, ერს აქვს უფლება, როგორიც სურს, ისეთი სარწმუნოება ირწმუნოს, ილაპარაკოს თავისუფლად და იკრიბებოდეს სჯადა და ბჭობად. ერი ემორჩილება სასამართლოს მსჯავრს, სასამართლოს გადუწყვეტლად არ შეიძლება ვინმე დასჯილ იქმნას, ან ვისმე სახლი გაეჩხრიკოს, ან კერძო მიწერ-მოწერა გაისინჯოს და ან ვისიმე ქონება შეიკრას.

პარლამენტი შესდგა ორის პალატისაგან—ქვედასა და ზედასაგან. ზედა პალატაში ბჭობენ წევრნი სამეფო სახლეულობისანი და დიდებულნი, ზოგნი დანიშნულნი მეფის მიერ, ხოლო ზოგნი 7 წლის ვადით არჩეულნი. ქვედა პალატაში სხედან დეპუტატნი, არჩეულნი ერისაგან. არჩევანის უფლება აქვს ყველას, 25 წელს გადაცილებულს მოქალაქეს და 20 მანათის ხარჯის მხდელს წელიწადში. დეპუტატად აირჩევა მხოლოდ 30 წელს გადაცილებული კაცი. არც ერთს კანონს ძალა არა აქვს, თუ ორთავე პალატის მიერ არ ქმნა შეწყნარებული. პარლამენტი შეიკრიბება წელიწადში სამის თთვით.

ერთის სიტყვით, კონსტიტუცია თითქმის ყველაფერში ჰგავს ევროპის სახელმწიფოთა უკეთესს კონსტიტუციებს. მთავრობა ისევეა შედგენილი, როგორც გერმანიის სამინისტრო.

კონსტიტუციის გამოცხადების გამო დიდი სახარული იყო ტოკიოში. მეფემ თავ-ახდილის ეტლით გაიარა ქალაქში დედოფლითურთ, რომელიც პარიჟის უკანასკნელს მოდაზე იყო მორთული. 25 საუკუნის განმავლობაში ეს პირველი მაგალითია, რომ მეფე-დედოფალი ასე მოიქცნენ ია-

პონიაშიო. საღამოზედ ქალაქი ჩირაღითა და ელექტრონის სინათლით იყო გაბრწყინვებული.

## წვრილი ამბები

გარდაცვლილა გამოჩენილი ქიმიკოსი და უხუცესი მეცნიერი მთელს ევროპაში მიშელ-ეჟენ შევრეილი. შევრეილი დაიბადა 1786 წ. აგვისტოს 31. ქიმიკოსის მამა, ექიმი, პროფესორად იყო ალჟირში და 81 წლისა გარდაიცვალა. 1824 წ. შევრეილს ქიმიის პროფესორობა მიეცა. მკითხველებს ეხსომებათ, თუ რა დიდის დღესასწაულით გადაიხადეს პარიჟში 100 წლის შესრულების დღე თავისის მეცნიერისა. ამ ორის წლის წინად შევრეილი ნამდვილი გმირი იყო მთელის პარიჟისა. შევრეილმა მოიგონა კარტოფილის სანთლის კეთება. შევრეილი სულ ბოლო დრომდე ესწრებოდა საქიმო საზოგადოებათა ყველა კრებებს და დიდს მონაწილეობასაც იღებდა. ამ რამდენისამე წლის წინად, როცა თითქმის იმის ხნის კაცი განთქმული გერმანიის ქიმიკოსი ველლერი გარდაიცვალა, შევრეილმა იმისის სიკვდილის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა და წამოიძახა: „რა თვალსაჩინო მეცნიერი დავკარგეთ უმაწვილობაშივეო“. რასა თქმა უნდა, ამ სიტყვებზე მთელმა კრებამ გაიღიმა და ჩაიცინა.

— ამას წინად პარიჟში გაუსამართლებიათ ქვრივის დედაკაცის რუს მკვლელი, კაპრალი ყომე. აი ამ საქმის ზოგიერთი ვითარება: ბრალდებული თურმე 21 წლისაა და სანკვენტენის ქვევითა რაზმში ჰმსახურობდა. ყომე ამხანაგთა შორის დიდი მოქეიფე და ბაქია იყო თურმე. იგი ჭკვიანი და მოხერხებული ბიჭი იყო და ამხანაგები არ ეწყობოდნენ, რადგან თავისს ვალებს არასოდეს არ იხდიდა. ყომეს მოეწონა ერთი ახალგაზდა მრეცხავი ქალი, დაუწყო უკან დევნა და ტრფიალი და რომ დაეყოლიებინა როგორმე, დაჰპირდა, რომ საათსა და სხვა ბევრ ნივთებსაც გაჩუქებო. დაჰპირდა, მაგრამ ჯიბეში გროში არ უჩანდა. ყომე ოთხის დღით პარიჟშა წავიდა და აქ მოჰკლა ქვრივი რუ, სენჟერმენის ბულვარზედ სპირტის სარდაფის პატრონი. რუ მარტოდ-მარტო სცხოვრებდა, დიდი კრიჟანგი იყო და ორიოდე გროშიცა ჰქონდა მიგდებული. ყომე წინად რუსთან ჰმსახურობდა და დიდი ხანია ჰქონდა თურმე განზრახული იმისი მოკვლა. 13 იანვარს მივიდა ყომე რუს დუქანში, გულ-არხეინად დაუჩეჩქვა თავი ჩაქუჩით და შეუბრალებლად სული გაანთხევინა. შემდეგ მოსჩხრიკა უუთები, ამოიღო ფული, საათი და დაბრუნდა ჯარში. რკინის გზაზედ შეჰხვდნენ მრეცხავ ქალის ნათესავები და ჰკითხეს: „როგორ გაატარეთ დრო პარიჟშიო?“ — „მალიან კარგადაო“, უპასუხა კაპრალმა. მთელი ღამე ლხინობდნენ, ყომემ თავისს სატრფოს რუს საათი აჩუქა და თან თვალებ-აცრემლიანებულმა უთხრა: „ეგ საათი დედიჩემის სახსოვარიაო“. ყომე სულ უბრალო შემთხვევამ გასცა: ჯიბიდგან რუს დუქანში წერილი გამოუვარდა თურმე. სასამართლომ დამნაშავეს გილიოტინით დასჯა გადაუწყვიტა. ყომეს ამ განაჩენის მოსმენის დროს წარბიც არ შეუხრია.

— ამერიკის ქალაქ ვატერვილლეს საპატიმროში ამას წინად ერთის დღით დააპატიმრეს თურმე ერთსა და იმავე დღეს, 27 აპრილს, ერთი დედაკაცი და ერთიც 57 წლის კაცი. ამ ორის ტუსაღის ოთახები ერთმანეთს ეკრა. ერთის ოთახიდგან მეორეში ტუსაღებმა ლაპარაკი დაიწყეს და საღამოზედ ერთმანეთის უნახავად ურთიერთი ისე მოეწონათ, რომ მღვდელი დაიბარეს ქორწილის გადასახდელად. საპატიმროს ზედამხედველმა, რასაკვირველია, ხუმრობად მიიჩნია ეს ამბავი, მაგრამ მაინც აუსრულა სურვილი. მეორე დღეს ახლად დაქორწინებულნი გაანთავისუფლეს. თუ როგორ გაატარეს ახალგაზდათ დრო, იქიდგანა სჩანს, რომ ცოლ-ქმარნი საღამოზედ ისევ საპატიმროში იქმნენ მოყვანილნი მთვრალნი და ცხვირ-პირ-დამტვრეულნი. სასამართლოში ორივემ ითხოვეს განგვაქორწინეთო და ამ სურვილის მიზეზად ცოლი ქმრის სიმთვრალეს ასახელებდა, ქმარი ცოლისას. აქ აღმოჩნდა, რომ ზედამხედველს საპატიმროსას ეხუმრა და მღვდლად იმათ ჯვარ-წერის დროს ვიღაც ტუსაღი ჰყოლოდა ანაფორა-გადაცმული.

## დეპეშა

4 აპრილი

პეტერბურგი. დღეს ვილნოდგან ბერლინს წავიდა ელჩი გრაფი შუვალოვი.

გამოცხადებული და განმარტებულია, რომ მოქმედის ჯარისა და ზურგის ჯარის ოფიცრებს შეღავათი აქვთ რკინის გზით მოგზაურობის დროს სავარჯიშოდ მოწვევის დღეიდამ სამსახურიდგან დათხოვამდე.

სიკრედიტო განყოფილების კანცელარიის დირექტორი ვერხოვსკი დაინიშნა ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრად. ვერხოვსკის ადგილზე დაინიშნა ვიცე-დირექტორი კანცელარიისა სლობოდჩიკოვი.

„Новое Время“ იუწყება, რომ იუსტიციის მინისტრის ამხანაგი მარკოვი დაინიშნა თავ-მჯდომარედ სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტისა. მარკოვის მაგიერ მინისტრის ამხანაგად, როგორც ამბობენ, ინიშნება დეპარტამენტის დირექტორი არაკინი.

ოდესა. სამხრეთ გუბერნიაში ანეულის მოსავალს კარგი პირი უჩანს

პარიჟი. გამომძიებელმა და გამამტყუნებელმა კომისიამ, რომელიც ცხრა კაცისაგან არის შემდგარი, ორს გუშინდელს სხდომაზე დაადგინა გაზეთებს არ აცნობოს არაფერი, გადასწყვიტა საქმე ფარულად აწარმოებს და შეუდგა სხვა-და-სხვა საბუთის გარჩევას.

გამომძიებელ კომისიის თავ-მჯდომარის ბრძანებით გაჩხრიკეს ბულანჟესა, დილიონისა და როშფორის სადგომები.

შინაგან საქმეთა მინისტრმა პრეფექტებს უბრძანა თვალ-ყური ადევნონ, რომ ქუჩებში არავითარი მანიფესტაცია არ მოახდინონ წესიერებისა და მშვიდობიანობის წინაალმდეგ.

### პეტერბურგის 31 მარტი, ბირჟა,

| | შეძენილისა. | გამოყიდვილისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 45 |
| ტამოჟნის კუპონები | 149 | — „ | — „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 269¼ | — „ | — „ |
| — მეორისა | 242¾ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადები—6.

აპრილი 30 დღით არის.

6 დღე ხუთშაბათი. წმ. სერობა. დიდი ხუთშაბათი. წმ. წამებულთა მამათა დავით გარესჯის უდაბნოში 1617 წ. კათოლ. დიდი ხუთშაბათი. სომეხ. წმ. სერობა. მაჰმად. მე-18 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 5—16, ჩადის 6—44. მთვარე 18 დღისაა.

7 დღე პარასკევი. ვნება, ჯვარცმა და დაფლვა იესო ქრისტესი. კათოლ. იგივე. სომეხ. ვნება და ჯვარცმა ქრისტესი. მაჰმად. მე-19 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 5—15, ჩადის 6—45. მთვარე 19 დღისაა.

8 დღე შაბათი. წინა დღე აღდგომისა. კათოლ. იგივე. სომეხ. იგივე და ნახოტანაქი და ნავაკატიკი. მაჰმად. მე-20 რიცხვი თთვისა შაბანისა. 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—13, ჩადის 6—46. მთვარე 20 დღისაა.

9 დღე კვირა. აღდგომა ქრისტესი. კათოლ. იგივე. სომეხ. ზატიკი. მაჰმად. მე-21 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—11, ჩადის 6—47. მთვარე 21 დღისაა.

10 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. ტერენტისა. კათოლ. წმ. აპოლონისა. სომეხ. მერელოცი (ხსენება მიცვალებულთა). მაჰმად. მე-22 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—9, ჩადის 6—49. მთვარე 22 დღისაა.

### ვაჭრობის ცნობანი

ნიხრი

1 აპრილიდამ 16 აპრილამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 12 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |


## განცხადებანი

სურათებიანი საყმაწვილო წიგნი

პირუტყვების ამბები

გამოცემული გ. ტატიშვილის მიერ ისყიდება ხიდეკელის მაღაზიაში ფასი 25 კ.

სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის აცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნებლნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან. (52—9)

წიგნის მაღაზია

კ. ი. ნოდიასი

ქ. ფოთში.

ისყიდება ყოველ გვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სასულიერო-საეკკლესიო და სხვა მრავალ გვარი საკითხავი წიგნები. იქვე ისყიდება ყოველ ნაირი საწერლო მასალები და ნივთები. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ნებართვით ნოდიავა კომისიონერად ყველა სასულიერო და საეკკლესიო წიგნების გასაყიდავად ეპისკოპოზის ეპარხიაში. (10—9)




სასახლის ქუჩაზედ, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში. (10—2)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან | „ | 40 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი | „ | 45 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ მეფის - მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| ვაზის ობი | „ | 10 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |

იაფად გასყიდვა საქონლისა

მხოლოდ დღესასწაულამდე

ცენტრალურს საგალანტერეო მაღაზიაში

ერევნის მოედანზედ, ზუბალოვის სახლებში, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

გვაქვს ყოველ გვარი საგალანტერეიო საქონელი და ოჯახთათვის საჭირო ნივთები: თეთრეული, კორსეტები, ქვრსე, ხელთათმანები, ქოლგები, შლიაპები, ჩულქები, წინდები, ხელსახოცები, ალბომები, ნესესერები, კოსმეტიკები, მელხიორისა და ბრინჯაოს ნივთები, ლამპრები, ჭურჭელი, საყმაწვილო სათამაშოები და სხვანი მრავალნი. (10—10)

რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.




არყის ხის ბალზამი დ—რის

ლენგილიასი,

სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას.

მომზადების წესი და რიგი:

ამ ბალზამის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ შიგ არ გაურიონ კანზედ ცუდად მომქმედი რამე ნივთიერებანი, პირიქით, ისეთები იხმარონ, რომელნიც სახისა და ხელების კანზედ კარგა ჰმოქმედებს და მარგებელია.

ფასი: შუშა ჰღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოს საპონი ჰღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ოპოპომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ჰღირს 70 კაპ., აზიის რუსეთს—1 მან.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება ვ. აურიხთან ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18—19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტიროზოვთანა და ა. პოპოვთან. (31—14)


Доз. ценз. Тифлисъ 5-го Апрѣля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской улиом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე